# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 412

„16" აგვისტო 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, იოსებიძის ქ. №53-ში მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.017.018) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა მაისურაძისთვის (პ/ნ. 01020000149) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, იოსებიძის ქ. №53-ში მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.017.018) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა მაისურაძისთვის (პ/ნ. 01020000149) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №24.1303.1459 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, იოსებიძის ქ. №53-ში მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.017.018) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა მაისურაძისთვის (პ/ნ. 01020000149) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე